სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო

03 ივლ 2026

გადაწყვეტილება # 882026502262-05 (03.07.2026)

სარეგისტრაციო წარმოების მიმდინარეობის შესახებ

განცხადების ნომერი: **882026502262** განცხადების მიღების თარიღი: **11.06.2026 13:00**

დაინტერესებული პირი: **შპს მომავლის სახლი (204460298)**

წარმომადგენელი: **ელგუჯა კახნიაშვილი (01025012980)**

უძრავი ნივთის მისამართი/საკადასტრო კოდი: **ქალაქი თბილისი, ირაკლი ქემოკლიძის ქუჩა, N 19, 01.11.04.027.062**

მომსახურების სახე: **მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების რეგისტრაცია**

დ ა ს კ ვ ნ ა

1. სარეგისტრაციო წარმოება შეჩერდეს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1.ა მუხლისა და „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ (დამტკიცებულია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 31.12.2019 წ. №487 ბრძანებით) 24.3 მუხლის შესაბამისად.

2. მიწის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილების დასაბუთებულობის საკითხის შემსწავლელი კომისიის მიერ მოთხოვნილია (საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2019 წლის 31 დეკემბრის № 487 ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო რეესტრის შესახებ“ ინსტრუქციის 24-ე მუხლის საფუძველზე კომისიამ ერთხმად გადაწყვიტა, რომ მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლასთან დაკავშირებით, წარმოსადგენია არსებული შენობის დემონტაჟის შესახებ ბრძანება . აღნიშნულის წარმოდგენის შემდგომ კომისია განმეორებით იმსჯელებს კომპეტენციის ფარგლებში და მიიღებს შესაბამის გადაწყვეტილებას).

3. დაინტერესებულ პირს განესაზღვროს 10 დღის ვადა კომისიის მიერ მოთხოვნილი დამატებითი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოსადგენად.

4. კომისიის მიერ მოთხოვნილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის წარმოუდგენლობის შემთხვევაში, კომისია გადაწყვეტილებას მიიღებს საქმეში წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის შესაბამისად.

დ ა ს ა ბ უ თ ე ბ ა

1. განცხადებით მოთხოვნილია მიწის ნაკვეთის მიზნობრივი დანიშნულების ცვლილება.
2. „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის 21.1.ა მუხლის თანახმად, მარეგისტრირებელი

ორგანო იღებს გადაწყვეტილებას სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების შესახებ, თუ განცხადებას არ ერთვის დოკუმენტი ან ინფორმაცია, რომელიც აუცილებელია განცხადებით მოთხოვნილ საკითხზე გადაწყვეტილების მისაღებად.
3. „საჯარო რეესტრის შესახებ ინსტრუქციის“ 24.8 მუხლის თანახმად, თუ კომისიის მიერ საკითხის განხილვისას აღმოჩნდა, რომ აუცილებელია დამატებითი ინფორმაციის მოპოვება, კომისია შეაჩერებს საკითხის განხილვას, ხოლო სააგენტოს შესაბამისი სამსახური დაუყოვნებლივ მოითხოვს განმცხადებლისაგან მიწის მიზნობრივი დანიშნულების შესაცვლელად აუცილებელ ინფორმაციას, რომელიც კომისიას უნდა წარედგინოს მოთხოვნიდან 10 დღის ვადაში.

4. ამდენად, სახეზეა სარეგისტრაციო წარმოების შეჩერების კანონით გათვალისწინებული საფუძველი.

წინამდებარე გადაწყვეტილება ძალაში შედის საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებისთანავე. გადაწყვეტილება გამოქვეყნებიდან 30 კალენდარული დღის ვადაში შეიძლება გასაჩივრდეს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში და მხოლოდ შემდგომ სასამართლოს წესით. საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს იურიდიული მისამართია: ქალაქი თბილისი, ვახტანგ გორგასლის ქუჩის №22, ამასთან, ადმინისტრაციული საჩივრის წერილობითი ფორმით ჩაბარება შესაძლებელია იუსტიციის სახლში (მისამართი: ქალაქი თბილისი, სანაპიროს ქუჩის №2)და მის ფილიალებში. ასევე, ფოსტისა და მოქალაქის პორტალის – my.gov.ge-ს მეშვეობით
